საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №34
2022 წლის 6 ივნისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის პირველი მაისის №40 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის პირველი მაისის №40 ბრძანებით (ვებგვერდი, 04/05/2020; სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.026.016782) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო^{1}“ ქვეპუნქტი:

„ო^{1}) მინისტრთან შეთანხმებით უფლებამოსილია განახორციელოს ცენტრის სამოქალაქო პერსონალისათვის ერთჯერადი დახმარების გაცემა, ცენტრისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 3 ივნისიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ჯუანშერ ბურჭულაძე**